ბუჩრის ერეკლის ოქ-ამბე

№ 10

ფასი 3 ბანეთი

ერობის ოფიციალური გაზეთი

კვირა 7 მარტი 1920 წელი ქ. ოზურგეთი

7 მარტი.

შესაძლებელია, საქართველო ერთად ერთი სახელმწიფო იყოს მთელი დედამიწის ზურგზე, რომელიც ასეთს დემოკრატიულ ხაზს ადგას; რომელიც ასეთს სამართლიან საქმეს იცავს; რომელიც არა თუ სხვას არაფერს ართმევს, არამედ ცდილობს კიდეც სხვის კეთილდღეობას ხელი შეუწყოს, რითაც კი ეს მას შეუძლია; რომელიც ყველას ისე ეპყრობა, როგორც ერთგული მოძმე; მაგრამ მიუხედავათ ამისა, იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელსაც ასე უსამართლოდ ექცეოდენ; რომელსაც ამდენი უბედურება განეცადოს გარეშე ერებისაგან, განსაკუთრებით კი იმ ერებისა, თუ სახელმწიფოებისაგან, რომელნიც საქართველოს გარს ხვევიან, თუ ახვევიან.

როცა გარს შემორტყმული ერები ჩვენს დაპყრობას, შვიწროებას თუ სხვას ლამობდენ, თუ ლამობენ, ეს ყველასაგან ადვილი გასაგებია, ვინაიდან ჩვენ მუდამ გარს გვერტყა და გვარტყია ნახევრად ველური, ბარბაროსული ერები, რომელნიც თავის კეთილდღეობას მხოლოდ სხვის დამონებასა და გაცარცვაში ხედავდენ. ასეთი ერები, ცხადია, მუდამ იმის ცდაში იქნებოდენ, რომ ხელში ჩაეგდოთ ისეთი ბუნებით მდიდარი და სტრატეგიულათ შესანიშნავი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, და გაეხადათ ის თავის უბრალო პროვინციად.

მაგრამ, როცა ჩვენ უსამართლოდ გვექცევიან ისეთი შორეული კულტურულსანი ერები, თუ ქვეყნები, რომელთა პირდაპირი ინტერესები მოითხოვს ჩვენი დამოუკიდებლობის არსებობასა და განმტკიცებას, მიზეზი ძნელი საპოვნელია, განსაკუთრებით ისეთი ხალხისათვის, რომელიც საშუალებას მოკლებულია საერთაშორისო პოლიტიკაში გაერკვას.

ვინ არ იცის დღეს, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ძლიერ სასარგებლო და ხელსაყრელია მოკავშირე სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით კი ინგლისისათვის; ვინ არ იცის აგრეთვე ისიც, თუ რამდენ დაბრკოლებას წარმოადგენს ხსენებული დამოუკიდებლობისათვის ბათუმის დღევანდელი მდგომარეობა. დღეს ყველა ქართველი ნათლათ ხედავს, რომ უბათუმოდ ჩვენი დამოუკიდებლობის არა თუ განმტკიცება, არამედ ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობაც კი შეუძლებელი საქმეა; რომ ბათუმი და იმისი მხარე, სამაჰმადიანო საქართველო, მოწყვეტილი თავის დედა სამშობლოს, გადაქცეული ჩვენი ქვეყნის ყოველგვარ შინაურ და გარეშე მტერთა საბუდარად, გახვეული ანარქიის ალში, დღეს ჩვენი ეროვნული სხეულის დაავადებული, დაჩირქებული ნაწილია, რომელიც შხამავს და სწამლავს საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რომლის განსაკურნავათაც დღეს მხოლოდ ერთად-ერთი წამალი ღა არსებობს—ეს მისი დედა სამშობლოსთან, საქართველოსთან გაერთიანება; იცის ყველამ ეს და ბევრი ვერც კი მიმხვდარა, რომ კაცობრიობის ბედის გამგეთ, კერძოთ კი ბათუმის მხარის დღევანდელ ბედის გამგეს, ეს საქმე აქამდე ვერ მოუგვარებია, როგორც ამას ჩვენი და აგრეთვე მისი ინტერესებიც მოითხოვდა.

მაგრამ, რომ ეს გავიგოთ, ამისათვის საჭიროა დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას ჩაუკვირდეთ.

მსოფლიო ომმა საესებით გაანადგურა ზოგიერთი სახელმწიფოები, გააჩანაგა ეკონომიურათ და ანარქიის ალში გადისროლა ზოგიერთი მათგანი. ნაცვლად იმისა, რომ დაცემული ქვეყნები ფეხზე წამოეყენებიათ, რაიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ევროპის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, მოკავშირეებმა კიდევ უფრო მაგრათ მოუჭირეს მათ მუხრუჭები და მით ერთმანეთთან დააკავშირეს და მოკავშირე სახელმწიფოთა წინააღმდეგ დარაზმეს ისეთი ძალები, რომელნიც სა-

უკუნეთა განმავლობაში ერთმანეთის მოსისხლე მტრებს წარმოადგენდენ.

კომუნისტურმა რუსეთმა ხელი გაუწოდა ბარბოროსულ ოსმალეთს, ბოლშევიკმა ლენინმა დესპოტ სულთანს და ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ძალა, ერთმანეთის მოსისხლე მტერი: გამაჰმადიანებული ბოლშევიზმი და გაბალშევიკებული ისლამი, ხელი-ხელ ჩაკიდებული, ყელი-ყელს გარდაჭდობილი, ანტანტის წინააღმდეგ დაირაზმა და აჯანყებას აჯანყებაზე აწყობს: ინდოეთის, ავღანისტანის, თურქესტანის, ციმბირის და ეგვიპტის მაჰმადიანობა, ბოლშევიკების მიერ მხარგამაგრებული, ოსმალეთის მოსარჩლედ გამოდის და დაჟინებით მოითხოვს ხალიფის რეზიდენციას, კონსტანტინოპოლს, ხელი არავინ ახლოს; რომ ოსმალეთი მთლიანი და განუყოფელი დარჩეს და სხვ. ამას ზედ ემატება თვით მოკავშირეთა ინტერესების წინააღმდეგობა ერთმანეთს შორის—საფრანგეთის ინტერესები ევროპის ოსმალეთში, განსაკუთრებით — სტამბოლში და მოკავშირეთა პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ, განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკას, შესამჩნევათ ფრთები ეკვეცება: მოკავშირენი იძულებული ხდებიან კონსტანტინეპოლი ისევ ოსმალეთს დაუტოვონ; ხდება მხოლოდ სრუტეების ნეიტრალიზაცია.

ამნაირად, ჩვენს მეზობლათ, ჩვენსა და ევროპას შორის, რჩება ისევ საკმაოდ ძლიერი ის მტარვალური სახელმწიფო, რომლისგანაც უკვე მეთერთმეტე საუკუნიდან ჩვენს ქვეყანას მოსვენება არ უნახავს, ხოლო მეთუთხმეტე საუკუნიდან მოკიდებული კი რომელმაც სავსებით დაგვირჩდილა ევროპის კულტურისა და ცივილიზაციის ცხოველმყოფელი მზე.

ამნაირად, მოკავშირენი, დაშინებულნი მაჰმადიანურ ქვეყნების ერთსულოვანი გამოსვლებით ოსმალეთის ინტერესების დასაცავათ, იძულებულნი შეიქნენ კომპრომისის გზას დასდგომოდენ, რათა გაერღვიათ მათი ბოლშევიკებთან კავშირი, განეცალკევებიათ და დეასუსტებიათ უკანასკნელნი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი იქნებიან შეურიგდენ ბოლშევიზმის გაბატონებას საჰმამადიანო ქვეყნებში, რასაც, უნდა ვიგულისხმოთ, მოჰყვება ევროპის სახელმწიფოთა მდიდარი კოლონიების დაკარგვა აზიაში.

ოსმალეთის პოლიტიკა მუდამ იქითკენ იყო მიმართული, რომ ამიერ კავკასია ხელში ჩაეგდო, თავისი დროშა კავკასიონის ქედზე აეფრიალებია. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით მან კიდეც განახორციელა ნაწილი ზემოხსენებული პროგრამისა, შეიერთა რა ბათუმის, კარის და არტაანის ოლქები. დღესაც კი, როცა ოსმალები კავკასიის საზღვრებიდან სავსებით განდევნილნი არიან, როცა ბათუმის ოლქს ინგლისის ხელი განაგებს, დღესაც კი ძველ ოცნებას ეძლევიან და არ ზოგავენ საშვალებას ამიერ კავკასიის მუსულმანურ ნაწილების შესაერთებლათ, რათა მით ნიადაგი მოუმზადონ თავიანთ სრულ გაბატონებას ამიერ კავკასიაში.

მაგრამ ამიერ კავკასიაზე და კერძოთ ბათუმის მხარეზე ოცნებობენ დღეს არა მარტო ოსმალები, მასზე ოცნებობდენ და ოცნებობენ შავი და წითელი რუსეთიც, სომხეთისა და აზერბაიჯანის განსაზღვრული წრეებიც და თვითეული მათგანი, რომელი ფარულათ, რომელიც ღიათ და აშკარათ, ვინ რელიგიური, ვინ ისტორიული და ვინ კიდევ ეკონომიური მოსაზრებით ამა თუ იმ სახით პრეტენზიას აცხადებს ბათუმზე. ასეთია მოკლეთ იმ ძალთა ზრახვანი, რომელთა ჭიდილშიაც იქედება ბათუმისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის ბედი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უფლება ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ძალის საკითხია; რომ თვითეული ქვეყნის ბედს სწყვეტს არა მარტო გარეშე ძალები, არამედ თვით განსაზღვრული ქვეყნის საკუთარი სიძლიერე და მისი შესაფერ დროს აქტიური ნაბიჯები.

გვეყო ამდენი მოთმინება! კმარა ჩვენ, ყოველგვარი უფლებების, ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების ყველას მიერ ფეხქვეშ გათელვა. რუბიკონი უნდა გადალახულ იქნას. ბათუმი საქართველოს თვალია და ის საქართველოს უნდა დაუბრუნდეს.

საუბარი მკითხველთან.

IX.

ორი ქვეყანა.

ზნე-ჩვეულება და შეხედულება, რომელიც შემუშავებულა ხალხში საუკუნოების განმავლობაში, შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ამ ძველი შეხედულების ალაგს დაიჭერს ახალი.

როგორც საზოგადოებრივ ცხოვრების სინამდვილეში ნგრევა—და შენება ერთი მეორეს თანამგზავრია, ისე კერძო პიროვნების შეხედულებაში ამ მიმდინარეობის გამომხატველი ძველი და ახალი აზრები ერთი მეორეს მისდევენ, სცვლიან, თანამგზავრობენ.

ძველი წყობილების დროს საქართველო წარმოადგენდა თვითმპყრობელ მეფის განკარგულებაში მყოფ დამონებულ ერს და, რადგანაც თვითმპყრობელი მეფე მართავდა სახელმწიფოს თავისი საკუთარი განუსაზღვრელი ნება-სურვილებით, ამიტომ ამ სახელმწიფო ცხოვრებაში არ ქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო არც რუსეთის ხალხს. მით უმეტეს დაშორებული იყო სახელმწიფო ცხოვრებას ქართველი ხალხი. მხოლოდ ქართველ თავადაზნაურთა ზოგ წარჩინებულ გვამებს არგუნა ბედმა რუსეთის სამსახურში ჩინოვნიკობა და ისიც იმიტომ, რომ ქართველი ერის დამონება უფრო იოლად და უმტკივნეულოთ ჩატარებულიყო. საუკუნის მონობამ სრულებით გადაავიწყა ქართველ ხალხს ის დრო, როცა საქართველო საკუთარ ფეხზე იდგა, როგორც ცალკე სახელმწიფო, დამოუკიდებლათ მოქმედებდა და აზროვნებდა.

რადგანაც თვითმპყრობელი მთავრობა იმდენათ დაშორებული იყო ხალხზე, რომ სახელმწიფო საქმეს არამც თუ ეკითხებოდა მას, არამედ დიდ უმეტეს შემთხვევაში, თითქმის ყველა შემთხვევაში, მთავრობა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა. ამიტომ ჩვენი ქართველი ხალხის შეგნებაში დაისადგურა ისეთმა შეხედულებამ, რომ სახელმწიფო საქმე საზოგადოთ ხალხის საკითხავი არ არის და რომ მთავრობა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით ომისა და ზავის საკითხში, ყოველთვის უნდა იცავდეს სასტიკ საიდუმლოებას და ხალხს არ უმჟღავნებდეს თავის პლანებს და სურვილებს.

დაინგრა ძველი თვითმპყრობელობის ქვეყანა და მისი ალაგი აქ, საქართველოში, დაიკავა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ე. ი. ისეთმა სახელმწიფო წყობილებამ, რომელმაც სრული ბატონობა მიანიჭა ქართველ ხალხს.

ჩვენს ქვეყანას მართავს არა მირონცხებული თვითმპყრობელი მეფე, არამედ პირდაპირ ხალხიდან არჩეული პირები და მართავენ თვით ამ ხალხის მიერ შემუშავებული კანონით. ეს ხალხოსნური პრინციპი ისე ფართოდ არის გატარებული ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, რომ განზრახულია ეროვნებისა და თემის გამაგრების შემდეგ ცენტრალურმა მთავრობამ ადგილობრივათ არ იყოლიოს არც ერთი ცენტრიდან დანიშნული მოხელე.

ეს წყობილება დღე—მუდამ ჩაგვჩიჩინებს: სახელმწიფო საქმე უდრესათ ხალხის საქმეა, სახელმწიფო მართვა-გაძგეობაში ხალხისათვის საიდუმლოება არ არსებობს.

პირველ ქვეყანას ერქვა თვითმპყრობელობა, მეორეს ქვია დემოკრატიული რესპუბლიკა—მეორე პირველის მომსპობი და გამანადგურებელი.

სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება ორივე ქვეყანაში მთავრობას ეკისრება. ამაშია მათი მიმსგავსება.

თვითმპყრობელობის მთავრობა სახელმწიფო პოლიტიკას არ უმჟღავნებდა ხალხს, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას, ერთიანად ხალხის ინტერესების დაცვაზე და სურვილზე ამყარებს წინასწარ უთვალისწინებს ხალხს თავის ნაბიჯებს. ამაშია ამ ორი ქვეყნის განსხვავება.

თვითმპყრობელობის მთავრობა ყველა იმედს ხალხის შეუგნებლობაზე ამყარებდა, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კი მთელ თავის იმედს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის შეგნებაზე ამყარებს. ამიტომ თვითმპყრობელობა იმდენათ იმარჯვებდა, რამდენათაც ბნელი და შეუგნებელი იყო ხალხი. დემოკრატიული რესპუბლიკა იმდენათ გაიმარჯვებს, რამდენათაც შეგნებული იქნება მისი ხალხი.

სიბნელეში და უვიცობაში ხალხის ჩაღრჩობა, ეს იყო დევიზი თვითმპყრობელობისა. ხალხის შეგნება და განათლება—ეს არის დევიზი დემოკრატიული რესპუბლიკისა.

აქედან ცხადია, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმდენათ გაიმარჯვებს თავის პოლიტიკაში, რამდენათაც მას მხარს დაუჭერს ხალხი, დემოკრატია, ხალხი კი მას მხარს იმდენათ დაუჭერს, რამდენათაც მას ნათლად ექნება გათვალისწინებული და შეგნებული ამ პოლიტიკის სისწორე.

ამიტომ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყველა მნიშვნელოვან ნაბიჯს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში სდგამს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის დასტურით. და მისი გამარჯვების მთავარ წყაროთაც სწორეთ ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს.

სახელმწიფოს წყობილების განმტკიცებას ათეული წლები უნდება. დღევანდელი მსოფლიო ნგრევისა და აოხრების დროს სახელმწიფო აღმშენებლობის წარმოება ხუმრობა საქმე არ არის.

ასეთს მძიმე მომენტში მოთმარეობის ხსნა მხოლოდ ხალხისა და მთავრობის ტკიცე კავშირს შეუძლია.

ვინ არის ჩვენი რესპუბლიკის ხალხი?

—მთელი ქართველი ერი.

ვინ არის ჩვენი მთავრობა?

—მთელი ხალხიდან პირდაპირ არჩეული თემი ერობა, დამფუძნებელი კრება და სამინისტრო.

აქედან ცხადია, ხალხი და მთავრობა ჩვენთვის

ერთი და იგივე ცნებაა.

ვინც გაბედავს ჩვენი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას შინ თუ გარეთ, მას თავგანწირულათ, მაგრამ წინდახედულად ეკვეთება ჩვენი სასიქადულო მთავრობა. ეს არა ერთხელ დაუმტკიცებია მას.

ვინც გაბედავს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას, მას უნდა ეკვეთოს ბრძოლაში გამოწრთობილი, მტკიცეთ შეკავშირებული ხალხი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა. ესეც არა ერთხელ დაუმტკიცებია ჩვენს ხალხს.

ხალხისა და მთავრობის ასეთმა მტკიცე კავშირმა არა ერთხელ გადაარჩინა ჩვენი ერი და ქვეყანა განადგურებას.

ამიერიდან ეს კავშირი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს.

მთავრობის ავტორიტეტის ხალხის ფართე მასსაში განმტკიცება ჩვენი მოქმედების პირველ მცნებათ უნდა გავიხადოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ მთავრობის ნდობის დასუსტება ხალხში—ეს იმ ტოტის მოჭრაა, რომელზედაც ღვეს ზის თვით ხალხი. ამიტომ ვისაც ხალხი უყვარს და მის ინტერესებს ემსახურება, მას მთავრობაც უნდა უყვარდეს და მის საქმეს ემსახურებოდეს.

იყო ქვეყანა, სადაც ხალხი და მთავრობა ერთი მეორეს ებრძოდა. ეს იყო რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა. დაინგრა ის—ქვა და ლოდი მას.

არის ქვეყანა, სადაც ხალხი და მისგან არჩეული მთავრობა ერთგვიათი ენერგიით, ნდობით და სიყვარულით ოსტატურათ სჭედს ქართველი ერის აწმყო და მომავალ ბედნიერებას.

ეს არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

შენდება და ღლითი დღე მტკიცდება ის.

— ია და ვარდი მას.

ვიქ. ლლონტი.

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ:

— მიღებულ იქნას ერობის ხარჯზე ჩოხატაურის კერძო გიმნაზია.

— მიეცეს ამ გიმნაზიას ავანსათ 40.000 მანეთი მიმდინარე ხარჯებისათვის და ყველა ეს მოხსენდეს მორიგ საერობო ყრილობას.

— საერობო აფთიაქებში ღღეის რიცხვიდან შემოღებულ იქნას მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი ნიხრი, რომლის თანახმად წამლებს ემატება ფასი 50%.

— შეძენილ იქნას საერობო აფთიაქებისათვის საჭირო წამლები. შეძენა დაევალოს ცენტრ. საფთიაქო საწყობის გამგეს დ. ნიკოლაიშვილს.

— განთავისუფლდეს სამსახურიდან ხვარბეთის საერობო აფთიაქის გამგე ა. ნიკოლაიშვილი თანახმად მისი თხოვნისა 1 მარტიდან ა. წ.

— საადგილ-მამულო განყ. საქმის მწარმოებლის მოვალეობის ასრულება დროებით დაევალოს აგრონომიულ განყ. საქმის მწარმოებელს ივ. შაფაქიძეს და ეძლიოს მას ამ მოვალეობისათვის ზედმეტათ სამასი (300) მანეთი თვეში.

— თანახმად საადგილ-მამულო განყ. გამგის მოხსენებისა დაარსდეს მაზრაში კიდევ ორი საგრარიო რაიონი—ჩოჩხათისა და ხვარბეთის და საჩქაროთ მოეწყოს ამ რაიონში საგრარიო კომისიები.

— არჩეული იქნას სენაკისა და ოზურგეთის მაზრებს შორის საზღვრის გამვლებ კომისიაში გამ. წევრი კ. ქავთარაძე.

— აღიძრას შუამდგომლობა მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ დაეთმოს ერობას საჯარო ვაჭრობის გარეშე ჩოლოქის აგარაკში უნებართვოთ დამზადებული ბზის მასალა.

— დამტკიცებულ იქნას მამულების ფონდში მიღების შემდეგი აქტები:

1. დიმიტრი და პეტრე კონსტანტინეს-ძე ერისთავების მამულების მიღებისა 17 ივლისიდან 1919 წ; 2. ზაქარია გიორგის-ძე დოლიძისა 9 სექტემბრიდან 1919 წ; 3. მირიან დავითის-ძე ჭანიშვილისა 5 სექტემბრიდან 1919 წ; 4. კონსტანტინე ბეჟანის-ძე ვაჩეიშვილის მემკვიდრეებისა 16 ოქტომბრიდან 1919 წ; 5. ანდრია მიხეილის-ძე ერისთავისა, 7 სექტემბრიდან 1919 წ; 6. გი-ორგი და დავით ლევანის-ძე ბერიძისა 10 სექტემბრიდან 1919 წ; 7. ქვრივი ნადეჟდა ბერიძისა 18 სექტემბრიდან 1919 წ; 8. ქვრივი პუპი ბერიძისა 24 სექტემბრიდან 1919 წ; 9. ბესარიონ ყარსუმის-ძე ბერიძისა 21 სექტემბრიდან 1919 წ.

— მიეცეს მიხ. ნაკაშიძის ვაჟს დავით ნაკაშიძეს ცალკე ნორმა მამის მამულებიდან, ვინაიდან გამოირკვა, რომ მას აქვს მამისგან მიღებული თავისი ხვედრი მიწა 1917 წ. 12 ივლისამდე.

— მიხ. და გიორგი ჩანჩიბაძეების მიერ წარმოდგენილი ნაყიდობა 10 ქცევა მიწისა დ. ნაკაშიძის მემკვიდრეებიდან იქნას ცნობილი კანონიერათ და ეს მიწა გამოირიცხოს ფონდიდან აღნიშნულ პირთა სასარგებლოთ.

— მუჯირს, გირკელიძეს დაგორგაძეს, რომელთა ნასყიდობები არ იქნა ცნობილი კანონიერათ და ფონდში გადაირიცხა მათ სარგებლობაში არსებული მიწა, დაახლოვებით 8 ქცევა, ფონდის დანაწილების დროს მიეცეს უპირატესობა ამ მიწაზე.

— ვაშნარის გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად განთავისუფლდეს სწავლის ფულისგან ერობის ხარჯზე ვაჟთა გიმნაზიის ორი მოსწავლე მესხაიშვილები.

— ამაღლების პირველ—დაწყებითი სასწავლებლის მასწ. ხონელიძეს მიეცეს 1 თვის თავისუფლება.

— აღდგენილ იქნას თავის უფლებებში 1 თებერვლიდან ა./წ. ქვედა-ჯურუყვეთის პირველ—დაწყებითი სკოლის მასწ. ნიშნიანიძე.

— მიეცეს გოგოლი გოგიბერიძისას დახმარება 300 მანეთი.

— მიეცეს მაზრის მილიციის უფროსს ლანჩხუთის უბნის მილიციის სამმართველოს შეშისა და ნავთის ფასათ ათას შვიდასი (1700) მანეთი.

— მასვე მიეცეს ჩოხატაურის უბნის მილიციის ასეთივე საჭიროებისათვის სამი ათასი (3000) მან.

— შოფერ ეპ. თაყაიშვილს მიეცეს ბოლშევიკების გამოსვლების დროს 10 დღის მუშაობისათვის ათასი (1000) მანეთი.

— დაქირავებულ იქნას შოფერებისათვის ს. ანთაძის სახლში ერთი ოთახი 24 ნოემბრიდან 1919 წ. თვეში ორას (200) მანეთად.

— მეეტლე დ. ღლონტს მიეცეს ნატანებში ერთხელ მგზავრობისათვის მილიციის საჭიროებაზე ექვსასი (600) მანეთი.

— გადადებულ იქმნას ჯერ-ჯერობით ასი ათასი (100,000) მანეთი გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

— გამგეობასთან არსებულ „გორის ფონდის" სამაზრო კომიტეტში მოწვეულ იქნას წარმომადგენლები: სახალხო გვარდიის გურიის საოლქო შტაბის, ქალაქის გამგეობის, ოზურგეთის კოოპერატივთა სარაიონო კავშირისა და პარტიების: სოც.-დემოკრ. სრულო., ს-ფედერ. და ნაც.-დემოკრ. კომიტეტებისა.

— ერობის გამგეობის მხრივ ამ კომიტეტში არჩეულ იქმნას თავმჯდომარეთ ერობის გამგეობის თავმჯდომარე ს. ჭანტურიშვილი და წევრად ბმ. ვიქ. ღლონტი.

— კანონიერათ იქმნას ცნობილი და დადასტურდეს დიდი-ვანის თემის საბჭოს არჩევნები.

მაზრის მილიციის უფროსის განკარგულებიდან:

მიუხედავათ იმისა, რომ არა ერთხელ მქონდა მოწერილი ოქმების შეყენების წესები, წინააღმდეგ დაგზავნილ მცირე ინსტრუქციებისა, მაინც გზავნიან თემებიდან პირებს, რომელთა წინააღმდეგ არ არის არავითარი ბრალდება გარდა იმისა, რომ ყველაფერს ამყარებენ კენჭის ყრაზე და ხშირათ გვპირდებიან დასაბუთებული ოქმის გამოგზავნას და ასეთებს არ გზავნიან. გარდა ამისა ზოგიერთ თემებში იყო სურვილი თვითგასამართლებისა, ჯარიმის გადახდევინებისა, დარაჯების მიყენებისა დამნაშავეთა ხარჯზე და სხვა ასეთებისა, იყო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე დღე იყოლიეს კაცი ყარაულს ქვეშ სოფლში, შემდეგ გამოგზავნეს ჩვენთან ციხეში მოსათავსებლათ და ბოლოს ბოდიშს იხდიან: შეცდომა დაუშვითო: ასეთი მოქმედება ყოვლათ დაუშვებელია და ეწინააღმდეგება კანონს, რისთვისაც ყოველივე პირი, ვინც კანონის წინააღმდეგ წავა, იქნება დასჯილი. ამ მიზნით უკანასკნელათ ვიშეორებ: 1. ყველა პირი, რომელსაც ედება დანაშაულობა, უნდა იქნას წარმოდგენილი ოქმით და იმნაირით, რომ ჩნდეს, თუ რა ბრალი ედება მას; და ოქმი უნდა ახლდეს მას და არა დაპირება ოქმის წარმოდგენისა, 2. ყოვლად დაუშვებელია ოქმში იქნას აღნიშნული, რომ დამნაშავეთ არის ესა და ეს პირი ცნობილი კენჭის ყრით,— ასეთი ოქმები არ მიიღება 3. ყოველი ის პირი, ვინც შეეცდება თვითგასამართლებას, ან და ჯარიმის გადახდევინებ. დანაშაულობისათვის, იქნება მიცემული პასუხის გებაში, 4. თუ არ შეიძლება დამტკიცება ამა თუ იმ პირის ბოროტმოქმედებისა და საჭიროა ამისი დასჯა, როგორც საზოგადოებისთვის მავნე პირის, ეს უნდა იყოს აღნიშნული და ხელმოწერილი და იყოს შუამდგომლობა მისი ხანგრძლივათ დასჯისა ადმინისტრატიულათ. მაგრამ აქაც დიდი სიფრთხილე უნდა როგორც სხვა საქმეში, რათა არ დაისაჯოს უდანაშაულო პირი: უნდა იცოდეთ, რომ ოქმი ბრალდებისა ყოველთვის გადაეცემა გამომძიებელს და, თუ დასაბუთებული არ არის, გამომძიებელი იძულებულია გაუშვას. ადგილობრივ ადმინისტრაციას კი უფლება აქვს იყოლიოს ციხეში, თუ აიხსნება, რომ პიროვნება მავნეა, მხოლოდ არა ხანგრძლივათ და ხანგრძლივი დატუსაღებისათვის საჭიროა

შუამდგომლობა. ამის მიხედვით ყველაფერი ამ მხრივ უნდა იქნას შესრულებული ისე, როგორც მოითხოვს კანონი, რაც მოკლეთ არის გათვალისწინებული ჩემ მიერ დაგზავნილ ინსტრუქციებში. გარდა ამისა ყოველივე ბოროტმოქმედებისა და შემთხვევების შესახებ და გარდა ზომების მიღებისა ადგილობრივ, უნდა იქნას იმ წამსვე გამოგზავნილი მოხსენება და დასახელებულ პირს, რაც არ უნდა ედებოდეს მას, არ უნდა ქონდეს საშვალება გაქცევისა.

— მიუხედავათ არა ერთხელ მოწერილობისა, უბნის მილიციის უფროსები არ ასრულებენ თავის მოვალეობას ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონი და საქმის სარგებლობა. ამისათვის უკანასკნელათ ვუმეორებ მათ: 1, ყოველი მომხდარი ბოროტ-მოქმედება, ან რაიმე შემთხვევა, იძიონ ადგილობრივათ და ცხელ კვალად, 2. ყოველივე შემთხვევის შესახებ მოახსენონ სამაზრო სამმართველოს არა უგვიანეს 24 საათისა და საჩქარო საქმეებზე კი დეპეშით იმ წამსვე, 3. ყოველ დაჭერილ მათ მიერ პირს უნდა ახლდეს დაკითხვის ოქმი, ესე იგი ბრალდება, 4. ყველა ოქმი უნდა იყოს ნაძიები მათ მიერ საკმარისათ - საფუძვლიანათ, 5. ქაღალდებს, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს, უნდა უგზავნიდენ არა ერობის გამგეობას, არამედ სამაზრო სამმართველოს, 6. ყოველთვის ბოლოს უნდა გამოაგზავნონ მოხსენება: რამდენი ფული იყო ასაკრეფი მათ უბნებში, რამდენი აიკრიბა და რამდენი რჩება ასაკრებათ 1 რიცხვისათვის შემდეგი თვისა, 7. არავითარ ექსცესებს, თვითგასამართლებას ან სხვა ასეთებს ადგილი არ უნდა ქონდეს მათ უბანში სასტიკი პასუხის მგებლობის შიშით, 8. ყოველივე მოწერილობა მთავრობისა სრულდებოდეს. თავის დროზედ და სწორათ, 9. არავითარ შემთხვევაში ტუსაღს არ უნდა მიეცეს საშუალება გაქცევისა, რისთვისაც ყველა დამნაშავე იქნება სასტიკათ დასჯილი; ტუსაღის ჩაბარების დროს უნდა აეხსნას ხელქვეითებს მათი მოვალეობა, 10. დაგროვილი იარაღის გაჩერება უბნის კანცელარიაში ყოვლად დაუშვებელია, რისთვისაც უნდა გამოიგზავნოს ის სამაზრო სამმართველოში.

ქ რ ო ნ ი კ ა.

— ადგილობრივ საავათმყოფოდან 17 ამა თებერვალს, ღამით, გაიქცა ტუსაღი ილარიონ გერასიმეს-ძე თალაკვაძე, რომელსაც ბრალდება ქ. ბათუმში 31 მაისს 1919 წ. მათე ანთაძის ოჯახზე თავდასხმა და იქიდან 45.000 მან. (რუსული ფულით) გატაცება სხვებთან ერთად. თალაკვაძის შეპყრობის შესახებ ზომები მიღებულია.

— 25 ამა თებერვალს ქალაქ ოზურგეთში შეპყრობილ იქნა ს. ჯურუყვეთის მცხოვრები ვარლამ გაბრიელისძე დობორჯგინიძე, რომელსაც ბრალდება ქ. ბათუმში 31 მაისს 1919 წ. მათე ანთაძის ოჯახზე თავდასხმა და მისი ოჯახიდან 45.000 მან. გატაცება რუსული ფულით სხვებთან ერთად. დობორჯგინიძე დღემდე ემალებოდა მთავრობას.

— 22 თებერვალს ქ. ოზურგეთში სენაკიდან ჩამოყვანილ და მოთავსებულ იქნა ოზურგეთის საპყრობილეში ჩოხატაურის უბნის მცხოვრები შალვა ლეონტისძე ჩიგოგიძე, რომელსაც ბრალდება ს. ხიდისთავში მცხოვრების ანანია ქერქაძის მოკვლა 1919 წელში სხვებთან ერთად და დღემდე მთავრობას ემალებოდა.

თემის ცხოვრებიდან.

ამაღლება. ჩვენი ცხოვრების მოსავგარებლათ და უკეთეს მომავლისაკენ გზის გასაკაფავათ საჭიროა შევეჩვიოთ ყველა მოვალეობის თავის დროზე შესრულებას, რაც აუცილებელი პირობაა ამა თუ იმ დასახული მიზნის ცხოვრებაში გასატარებლათ. ამ წვრილით მინდა ხაზი გაუსვა თემში გადასახადების აკრეფას. თუ ძველათ სტრაჟნიკების და მათრახების საშვალებით ჩქარა იკრიფებოდა სხვა და სხვა გადასახადები და ისიც თვითმპყრობელობისა, სამღვდელოებისა და ჟანდარმ-პოლიციელების საძიძგნელათ, დღეს, პირიქით, როცა ჩვენი ცხოვრების მოწყობის საქმე ჩვენსავე ხელშია, თვითეული მოქალაქე ყოველ მხრივ ვალდებულია სახალხო საქმეს პატივისცემით მოეპყრას და შეასრულოს პირნათლათ ესა თუ ის მოვალეობა, რაშიაც ის არ უნდა გამოიხატებოდეს. ერთი ასეთ მოვალეობათგანია გადასახადების დროზე შეკრეფა და შეკრებილი ფულით საქმეების დროზე მოგვარება. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სკოლებში მეცადინეობა შეჩერებულია უშეშობით, თუ ფანჯრების გაუკეთებლობით; ზოგან განაგრძნობენ მეცადინეობასაც. ცივ სკოლის კედლებში ბავშები ცივდებიან. ამნაირად, ფერხდება სწავლის საქმე და სხვა. დროა ამ დამაბრკოლებელ მიზეზებს ბოლო მოულოთ. ვეცადოთ შევითვისოთ ის მტკიცე რწმენა, რომ ჩვენ ვაკეთებთ დიდ საქმეს ნორჩი რესპუბლიკის განმტკიცების მხრივ. ყველამ შევიგნოთ, რა არის მოვალეობის ასრულება. ამასთან საჭიროა მოვაგონოთ იმ პირთ, რომლებიც თემს გარეშე,

ქალაქებში თუ სხვაგან ცხოვრობენ, დროზე გამოუგზავნონ თავის ოჯახის წევრს ხვედრი გადასახადი, რომ ამ უკანასკნელმა წარადგინოს ის, სადაც ჯერ არს. ეს აუცილებელია. იმ დაპირებებს არ უნდა ქონდეს ალაგი, რომ მოგვ შინ და გადასახდისო.

კ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.

მიქელ-გაბრიელის თემის დადგენილებიდან:

— ქ. გორის და მის მიდამოებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ არჩეულ იქნას კუთხის-კუთხეზე დახმარების მომკრები კომისიები. დახმარების მომკრები კომისიების ხელმძღვანელობა დაევალოს თემის გამგეობას. მოწვეულ იქნას კუთხის კრებები, სადაც მცხოვრებთა მოწინავე პირები გაურკვევენ მიწის ძვრით გამოწვეულ უბედურებას და მოუწოდებენ გაუბედურებულთა დასახმარებლათ.

— ეთხოვოს სამაზრო ერობის გამგეობას გამოგზავნოს ტეხნიკი, რომელიც გამოიკვლევს ნატანებ—ფიჩხისჯვრის გზას და გამოწვეულ იქნას ამ გზის სამუშაოთ მცხოვრებნი პირველ შესაძლებლობისთანავე.

— ნება მიეცეს თემის გამგეობას გამოიწეროს თემის ხარჯებით ერთი ცალი „ერობა და ქალაქი“ და ერთი ცალი „გურიის ერობის მოამბე“

— დაევალოს თემის გამგეობას, რომ ის მოელაპარაკოს სუფსის უბნის მომრიგებელ მოსამართლეს, რათა ყოველგვარი საქმეები მიქელ-გაბრიელის თემის მცხოვრებლებისა ირჩოდეს მოსამართლის მიერ ამავე თემში. სამგზავრო და ბინის ხარჯებს კისრულობს თემი.

— ვინაიდან საფერშლო პუნქტი არ არის შესაფერად მოწყობილი, დაევალოს საბჭოს სანიტარულ კომისიას შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა პუნქტის მოსაწყობათ გასაწევ ხარჯებისა და წარმოუდგინოს გამგეობას საბჭოს მომავალ სხდომაზე მოსახსენებლათ.

— ვინაიდან თემის სამმართველო არ არის მოწყობილი საშუალო ადგილზე და თემის მცხოვრებთა შორის არსებობს დავა ადმინისტრატიული ცენტრის გარშემო, რომელიც აფერხებს ყოველგვარ მუშაობას,—დაევალოს თემის გამგეობას დაჩქარებით მოითხოვოს სამაზრო ერობის გამგეობისაგან შეპირების ასრულება—ცენტრის გამოსაკვლევათ ინჟინერის გამოგზავნის შესახებ.

— დაევალოს თემის გამგეობას სად. ნატანებში აგოს რვამდი ხილით სავაჭრო „ბუდკა“, აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, რათა ის ადგილი, სადაც თემს განზრახული აქვს „ბუდკების“ აგება, დაიმიჯნოს თემის სახელზე და შეადგენდეს თემის კუთვნილებას.

— დაევალოს თემის გამგეობას დაჩქარებით დააგოს ჭახვათის წყალზე ხვარბეთის თემის საზიარო ბოგის ნახევარი. ეთხოვოს სამაზრო ერობის გამგეობას, რომ ხვარბეთის თემი, რომელიც უარს ამბობს ხიდის დაგებაზე, მოგვათანხმოს.

— შეღობილ იქნას რკინის გზის პირი, რომ ამით აშორებულ იქმნას თავიდან ის აუარებელი ზარალი, რომელიც ეძლევა მცხოვრებთ მატარებლებისგან საქონლების დახოცვით. მოგვარება ამ საქმის დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას თემის გამგეობის ხელმძღვანელობით.

— ვინაიდან თემის ფარგლებში მგლები ძლიერ გამრავლებულია და საგრძნობ ზარალს იძლევა, წასახალისებლათ მიეცეს მონადირეს თითეული მგლის მოკვლაში პრემიათ 500 მ.

— დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას გამოიმუშაოს კუთხეების კრებისთვის რეგლამენტი, რითაც სავალდებულო გახდეს ყველას დასწრება კრებაზე, თუ მას დაუსწრებლობისთვის საპატიო მიზეზი არ აღმოაჩნდება.

— ეთხოვოს სამაზრო ერობის გამგეობას აუნაზღაუროს მიქელ-გაბრიელის თემს ის ხარჯები, რომელიც ამ უკანასკნელმა ქალაქთა კავშირთან ტყის აღებაზე მოლაპარაკების წარმოების დროს გასწია.

— დაევალოს თემის გამგეობას იშუამდგომლოს სამაზრო ერობის გამგეობის წინაშე, რათა ნატანების რკინის გზის ხიდი გადაკეთებულ იქმნას საურმე ხიდათ, რითაც საშუალება მიეცემა მცხოვრებთ ნატანების წყალზე დაუბრკოლებლივ მიმოსვლისა.

— 1918—19 წლების ღალის შესახებ საბჭო ადგენს, რომ ის გადახდილ იქმნას ნატურით. სიმინდი გადამხდელებმა უნდა მიიტანონ კუთხის კუთხეზე—კოოპერატივებში.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ—ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.— ძველათ სოფლის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი მოყავდა სისრულეში საზოგადოების მამასახლისს. გთხოვთ გვაცნობოთ ვინ უნდა მოიყვანოს სისრულეში დღეს ასეთი განჩინებანი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.— რადგანაც რესპუბლიკის კანონებისა და წესების ძალით ძველი მამასახლისის მოვალეობა განსაკუთრებით ასრულებითი ნაწილში დღეს დაკისრებული აქვს მილიციას, ამიტომ სოფლის სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი განჩინებანი უნდა მოიყვანოს სისრულეში მილიციამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლს მიხედეთ!!.

ცა-ფირუზი, ზურმუხტ-ველი
მობიბინე მწვანე მდელო,
შავი ძაძით შეიმოსა
ჩვენი ტურფა საქართველო.

მშვენიერი გორის მაზრა,
თვალ-წარმტაცი ქართლის გული,—
ქალაქ გორი, მისი ციხით,
ჩვენი ქვეყნის თაიგული

განადგურდა თითქმის სრულად,
წაიშალა მისი სახე
და გამეფდა მუნ ვარამი,
კვნესა—ვიში, სივაგლახე.

დაილეწა კარ-მიდამო
ათასს წლობით ანაგები;
ბევრს სიცოცხლეც მოუმოკლა,
მათ სამარეთ გახდა ქვები.

ვინც გადარჩა, ცის ქვეშ სუსხით
იყინება მათი ძვლები;
ცაც ცრემლს აფრქვევს მათი ცოდვით
და მოსთქვამენ მუნჯი მთები..—

ტიტვლათ სხედან საცოდავნი,
არც საჭმელი, არც სახლ-კარი;
სტირის ქართლი თვის გასაჭირს
და ჩამოსდის ცრემლის ღვარი.

თუ ჩვენ არა,—ამ ბედშავებს
ვინ გაუშროს თვალი სველი?
დაეჩქარეთ, მისაშველათ
გაუწოდეთ, ძმებო, ხელი.

გულ-უხვობის სიბრალულმა
თქვენი დასწვას გული—გრძნობა;
მოიხადეთ თქვენი ვალი,
გაუწიეთ ძმებსა ძმობა.—

ქართლს მიხედეთ, მეგობრებო,
ქართლს მიწის ძვრით აოხრებულს;
დაეხმარეთ საყვარელ ძმებს,
ქართლს მტირალს და დაობლებულს!!.

ბ. ლადოშვილი.

გორი უნდა აღსდგეს და კვლავ ქართლის გულათ გახდეს.

ოზურგეთის სამაზრო ეროვნის გამგეობის
განკარგულებით ეროვნის გამგეობასთან

შესდგა
„გორის ფონდის"

სამაზრო **კომიტეტი**, რომლის წინადადებით ევგენ თეძის
გამგეობასთან დაარსდა სათემო **კომიტეტები**.

შემოწირულება მიიღება ფულით და

ნივთებით.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲜᲘ, ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲦᲓᲒᲔᲑᲣᲚ

ᲒᲔᲖᲝᲒᲐᲠᲔᲝᲒᲐ ᲗᲔᲗᲕᲔᲜᲘ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲝᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ

რედაქტორი—კოლეგია. მამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ეროვნის გამგეობა.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთში.